# სახალხო გაზეთი

№ 313 შაბათი, 28 მაისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 33

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ზღრაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газета" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი"-ს
### ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.



## ალექსანდრე ივანეს ძე
## მანთაშევის

გარდაცვალების ორმოცის დღის თავზე, დღეს 28 მაისს, დანიშნულია ვანქის ტაძარში წირვა და პანაშვიდი, რასაც განსვენებულის ასულნი და ძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დილის 10½ საათზე დაიწყება, პანაშვიდი 12 საათზე.

(1—1265—1)



ანნა გრიგორის ასული ძიძიგურისა, რომანოზ ივანეს ძე ძიძიგური, ოლღა ივანეს ასული შავდიასა, ელისაბედ, ნინა და მართა ივანეს ასულნი ძიძიგურნი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ნესტორ ლუკას ძე შავდია და ისაკ გრიგოლის ძე ჩივაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 ამ მაისს, ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე პირველისა, საყვარელი მამა მეორეთა, სიმამრი მესამისა და სიძე უკანასკნელისა

## აზნაური ივანე როსტომის ძე ძიძიგური,

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება მიცვალებულისა ბინიდან, ყიფიანის ქუჩა № 17, კილოუშნის ეკლესიაში, ორშაბათს, 30 მაისს, დილის 9 საათზე. წირვა და პანაშვიდის შემდეგ დაკრძალვა იმავე დღეს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე.

(1—623—1)



მიხეილ ბესარიონის ძე ესაკია შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის მეუღლის და უკანასკნელთა დედის

## მარგალიტა ბესარიონის ასულის ესაკიასი.

დაკრძალვა კვირას, 29 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქალ. ფოთში, სასაფლაოს ეკლესიაში. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე.

(2—1310—1)



## ქართული საზაფხულო თეატრი

კვირას, 29 მაისს,

ვ. გუნია და გ. არადელი-იმხნელი გამართავენ იაფ-ფასიან წარმოდგენას (20 კ.-დან 2 მ.-დე), წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

## „ღალატი"

ისტორიული დრამა 5 მოქმედ. გრ. ყიფშიძის თარგმანი.

მომქმედნი პირნი: ზეინაბ—ა. ჩირგაძე, სულეიმან—შ. შარაშიძე. ოთარ—ვ. გუნია, ანანია—გ. არადელი, ერეკლე—მგალობლიშვილი, დათო—ბ. მდივანი, ბესო—ვ. აბაშიძე, საბა—ი. ივანიძე, გაიანე—პიერეტა, რუქაია—ა. კარგარეთელი, ისახარ—ე. ჩერქეზიშვილი.

საზაფხულო თეატრსა და ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა.
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. ს. (4—1230—3)



ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 29 მაისს

ქართველ მწერალთა მონაწილეობით გაიმართება

## სალიტერატურო და სამუსიკო
## ს ა ღ ა მ ო

ბილეთების ფასი 5—50 კ. დასაწყ. საღ. 8½ ს. (2—1312—1)



გამოვიდა ალ. შანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა

## „შვების თავადი"

ფასი 60 კაპ. გამოცემა მ. ნემსაძისა.

„სახალხო გაზეთის" ხელის მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის კანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარეთ ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12). (10—1308—2)



მუშტაიდის ბაღში, ოთხშაბათს, 30 მაისს,

საზოგადოება განათლება ჰმართავს

## დიდ სეირნობას

გასართობები ბავშვთათვის, შუშხუნები და სხვა.
სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე. (2—622—1)



## დიდუბეში

დიდუბის ეკლესიის მახლობლად კვირას 29 მაისს გაიმართება

## კავკასიური ჭიდაობა

იჭიდავებენ: 1) მიხა ქურხული და კოტე ძეგველი, 2) თედო კაკაშვილი და ვიქტორ სხირტლაძე, 3) კოტე ხამადაშვილი და ბებურო როსტიაშვილი, 4) არჩილ ნავთლუღელი და ხანდრო კახპელი, 5) ზურია ფარნაზაშვილი და ხანდრო კასპელი, 6) ვახო კომკელაშვილი და გიორგი პატარძეულელი, 7) არტო გომიცანი და ვახო თვალაძე, 8) ვახტანგ ცხინვალელი და მიხა ნაზალოვკელი, 9) ვლადიმერ დევი და ვახო თაბაგარი, 10) დაბალი სტეფანე და არჩილ კომკისუბნელი, 11) ნიკა მარანელი და გიგუცა თავრიშვილი, 12) დაბადი კაზარა და ტატო ზაშურელი და სხვ.
დასაწყისი საღამოს 5 ნახ საათზე. (2—1303—1)



12 ივნისიდან ქ. ქუთაისში გამოვა ყოველ-კვირეული გაზეთი

## „კოოპერაცია".

პროგრამა: 1 მოწინავე წერილები კოოპერატიულ და ეკონომიურ საკითხებზე. 2. წერილები მუნიციპალურ საქმეებზე. 3. კორესპონდენციები კოოპერატიულ ცხოვრებიდან. 4. კოოპერატიულ მოღვაწეთა ბიოგრაფიები (სურათებით) და 5. მოკლე მიმოხილვა მიმდინარე საზოგადო-ეკონომიურ ცხოვრებისა.
ფასი: წელიწადში ქუთაისში 2 მ. 25 კ., ქუთაისს გარედ 2 მ. 50 კ. დასაბეჭდი წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს რედაქციის სახელზე, ქუთაისში.
(4—1311—1) რედაქტორ-გამომცემელი ი ა ს ო ნ გ ა ბ ი ლ ა ი ა.



საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—56)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს. სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

ხობოლევსკი ზ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1089—474)



ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ზ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

## წამლობა „606"-ით.

(წლ.—1090—70)



ელექტრონისა და რენტგენის

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20.

(წ.—1249—26)



## ექიმი
კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N2.



## ექიმი
კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7ს. ლოვინის პრ. N 12, ახლი მდ.



## ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. ე)



## ექიმი
შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.



## ექიმი
ი. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—65



ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ყოფილი მსმენელი ქალი ფრანგულ-გერმანულ-ენების და მუსიკის მცოდნე

## ამზადებს გაკვეთილებს

თანახმად ქალაქ-გარედაც წავიდეს მასწავლებლად.

ადრესი: გუდოვიჩის ქ. N 7; სამატერო კურსები. იკითხეთ მასწავლებელი ქალი. (10—1309—3)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარდან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

გნუჩკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსი—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—51)


## ტფილისი, 28 მაისი

**შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოსაც მიუღია სათათბიროს მიერ მიღებული კანონ-პროექტი შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის გამოსარკვევად ფულის გადადებისა. ამრიგად, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მალე ეს კანონ-პროექტი კანონად იქცევა და შეუდგებიან რკინის გზის გაყვანას. ამიერ-კავკასიამ მაინცა და მაინც ძალიან არ არის გაბედნიერებული რკინის გზებით. მთავრობა უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მხოლოდ სტრატეგიულ მხარეს და ისეთს ადგილებში, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა არა აქვთ, რკინის გზის გაყვანას მაინცა და მაინც ძალიან არ აქცევდა ყურადღებას. გავიხსენოთ თუნდა კახეთის რკინის გზის ისტორია. რამდენი დრო და შრომა დასჭირდა ადგილობრივ მკვიდრთ, სანამ კახეთის რკინის გზის კონცესიას მიიღებდნენ! შავი ზღვის სანაპირო რკინის გზას გაცილებით უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ მას ბევრი სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები აღმოუჩნდა. თქმა არ უნდა, ამ საკითხის გადაწყვეტას ხელს უშლიდა, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ „ვაჭრობისა და ზღვაოსნობის რუსული საზოგადოება", რომლის პატრონადაც რუსეთის ბევრი წარჩინებული პირი ითვლება, ძალიან დაზარალდება ამ რკინის გზის გაყვანით. ეს წარჩინებული პირნი, თქმა არ უნდა, დიდხანს ეურჩებოდნენ რკინის გზის გაყვანის საქმეს, მაგრამ ბოლოს ცხოვრებამ მაინც აიძულა საკანონმდებლო დაწესებულებანი მხარი დაეჭირათ შავი ზღვის სანაპირო რკინის გზისათვის.

ჩვენ ეს რკინის გზა გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი შავი-ზღვის ნაპირებს ამიერ-კავკასიას შეუერთებს. ახალი რკინის გზა ბევრს ისეთს ადგილს გადასჭრის, რომელიც დღემდის ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრეს ლიანდაგს დაშორებულია. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ ადგილობრივმა დაწესებულებებმა, ქალაქებმა და სხვ. ეხლავე შეჰკრიბონ მასალა, გამოარკვიონ, რომელი კუთხე უფრო საჭიროებს რკინის გზას და მიმართულების გამორკვევაში თავისი წვლილი შეიტანონ.

## სახელმწიფო საბჭო

**26 მაისის კრება.**

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.** საბჭომ სათათბიროს რედაქციით მიიღო 32 წვრილი კანონ-პროექტი მათ რიცხვში პროექტი, რომლის ძალითაც უნდა გადაიდოს საჭირო თანხა შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის პროექტის შესადგენად. როცა ამ პროექტს მუხლობით იხილავდნენ, საბჭომ სურვილი გამოსთქვა კავკასსა და ტფილისს შუა უღელტეხილზე რკინის გზის გაყვანის საკითხი ჩქარა იქნეს განხილული, რადგანაც ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვსო. ამ დებულების მომხსენებელმა **ავდაკოვმა** აღნიშნა, რომ რუსეთი შავი ზღვის ტალღათა ჩქეფას დინჯად ისმენდა და უკანასკნელ დრომდის მახლობელ აღმოსავლეთს ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ ეხლა, როდესაც კონსტიტუციონურმა ოსმალეთმა ბოსფორში ჯავშნოსანი გემები შეიძინა, ჩვენი საკანონმდებლო დაწესებულებებმა იძულებული გახადა სახელმწიფოსათვის დიდ-მნიშვნელოვანი გადაეწყვიტა: შავი ზღვის ფლოტის გაძლიერება. სუღელ-ტეხილის გზაც ამავე საქმეს ეხება. მისი გაყვანა ქვეყნის დაცვა იქნებაო.

საბჭომ უარ ჰყო კანონ-პროექტი პატარა ხომალდის „მაკ-კარტიეს" შეძენისა და სამხედრო უწყების კონსერვების შესანახად საწყობის აშენებისა.

პეტერბურგის სამკურნალო ქალთა კურსების შესახებ ფულის გადადების პროექტიდან საბჭომ სათათბიროს მიერ შეტანილი, ზოგი ერთი რამ ამოშალა და პროექტი შეთანხმებელ კომისიას გადაეცა. მასვე გადაეცა ხელოვნურ ტკბილეულობის წარმოება-გაყიდვის პროექტი. საბჭო კომისიას არ ეთანხმება იმის შესახებ, რომ „სახარინის" ხმარებისათვის სასჯელი შემსუბუქდეს.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია **საგანგებო და ფინანსთა კომისიების** მოხსენებამ, რომელიც საყოველთაო სწავლის შემოღებას ეხება.

საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ **ფონ-კაუფმანმა** გაარკვია ამ კანონ-პროექტის მნიშვნელობა და სთქვა ფულს ჯერ-ჯეროვნით სკოლების დასაარსებლად ვთხოულობთო. საჭიროა სასწავლებელს კარგი მასწავლებელი ჰყავდეს, თორემ დამშეული მასწავლებლები სასწავლებლებს გაურბიან და იქ ეკედლებიან სადაც მეტი შემოსავალიაო; მასწავლებლები სოფლობო ურიადნიკებად და არყის დუქნებში შედიან სამსახურისათვის. ორატორი სთხოვს საბჭოს, პროექტის მუხლობით განხილვას დაუყონებლივ შეუდგეთო.

**შვარცი** ამის წინააღმდეგი აზრისაა, რომელმაც დიდი სიტყვა წარმოსთქვა და საბჭოს მოაგონა, რომ საკითხი ძალიან სერიოზულია. საქმე გაწყობილი იყო, როდესაც სამინისტროს სათავეში ჩავდექ, მაგრამ სამინისტროს იმოდენა ხარჯი დააკისრეს, რომ აუცილებელ საჭიროებათა და-

კმაყოფილება შეუძლებელი ხდება. სათათბირომ ამ საქმისათვის 10 მილიონი გადასდო, საბჭომ კი 8.100,000 მან. მართალია, ათი მილიონი სესხი სულ მცირეა და სამინისტროს უფლება აქვს იმდენი მოითხოვოს, რამდენიც საქმეს დასჭირდება, მაგრამ სამინისტროში დიდი ხნის სამსახურმა დამანახვა, რომ ამ საჭიროებას მუდამ ჰკვეთს ფინანსთა უწყება და სათათბიროს უსაჭიროესს სესხსაც კი საშინლად გვიკრძალავდნენ. ორატორი ციფრებით ამტკიცებს, რომ პროექტის ძირითადი აზრის განხორციელება შეუძლებელი იქნებაო. განათლების სამინისტროს და სამრევლო სკოლების სამართველოს დამოკიდებულებანი გამწვავდებაო. სათათბიროს ჰსურდა, სამრევლო სკოლები სამინისტროსათვის სამ წელიწადში გადაეცა. საბჭოს კომისიამ ეს წინადადება უარჰყო და ათი მილიონი მანეთი სამინისტროსა და სინოდს გაუყო. ამ რიგად ამ ორ დაწესებულებათა დამოკიდებულებას გვერდი აუქცია. საეჭვოა ამით საქმის რამე სარგებლობა მოუტანოს. რაკი ეს წესები დაკანონდა, ეხლა არავითარი ნუგეში არა აქვს არც განათლების სამინისტროს და არც მართლმადიდებელ ეკლესიას. თუ საქმის საერთო საწარმოებლად ორ დაწესებულებას მოიწვევთ, საჭიროა მათი მოქმედების ფარგალი კარგად განისაზღვროს. პროექტს ბევრი სასარგებლო მხარე აქვს, მაგრამ მთლიანად მისი მიღება შეუძლებელია. ორატორს ეშინიან საქმე არ წახდესო და ამიტომ ხმას არც სათათბიროს რედაქციას აძლევს და არც კომისიას.

კომისიის მომხსენებელი იზვოლსკი, კომისიის დებულებებს იცავს.

კრება 9 საათამდე შესწყდა.

საღამოს კრებაზე **დეკანოზმა ბუტკევიჩმა** სთქვა, კომისიას საკმარისი სტატისტიკური ცნობები არა ჰქონია და საკითხი ცალ-მხრივ გადაუწყვეტია. ამიტომ საყოველთაო სწავლის შემოღების პროექტი კომისიას უკანვე დავუბრუნოთო.

მის საწინააღმდეგოდ ილაპარაკა **იზვოლსკიმ:** კომისია სამინისტროს და სამრევლო სკოლების დამოკიდებულებებს იმიტომ არ შეეხო, რომ უფლება არა ჰქონდა საქმე გაეფართოებინა; სტატისტიკური ცნობები ხელთა გვქონდა. ახალი ცნობები საკითხს მეტ ნათელს ვერ მოჰფენსო.

პროექტის უკან დაბრუნებას მხარი დაუჭირეს **უშაკოვმა** და **სინოდის ობერ-პროკურორმა.** უკანასკნელმა განაცხადა, პროექტი მხოლოდ საქმის ფინანსიურ მხარეს ეხება, რის ძირითადი აზრი კი, პირველ-დაწყებითი სკოლები, რომელიც სათათბირომ განიხილა, საბჭოში განუხილავად დარჩაო. უკეთესი იქნება საქმე გადაიდოს და მისი ორივე მხარე ერთად იქმნეს განხილულიო.

კენჭის ყრა ბარათებით მოხდა. ხმის უმრავლესობით 55 ხმამ, წინააღმდეგ 44-სა, პროექტი კომისიას უკან დაუბრუნეს.

შემდეგი კრება 26 მაისს მოხდება.

# ახალი ამბები

## ტფილისი

◆ **ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა 1910 წლის ანგარიშები**, რომელიც უნდა განიხილოს მომავალმა საგანგებო კრებამ, უკვე დამზადდა. ანგარიშიდანა სჩანს, რომ თავად-აზნაურობას 1910 წელში შემოსავალი ჰქონია 228,818 მ. 21 კ., ხარჯი—248,959 მან. 9 კ. 1911 წლის 1 იანვრისათვის თავად-აზნაურობას ჰქონია: სასოფლო-სამეურნეო თანხა—252,940 მან., რომელიც ერთიან სესხადაა გაცემული; სარგებლიანი ქაღალდები ჰქონია—450,260 მანეთისა; აქედან: 422,700 მან. ტფილისის სათ.-აზნ. საადგილ-მამულო ბანკის საგირავნო ფურცლებად; უძრავი ქონება ჰქონია—499,684 მან. გასული წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა სრულიად დაფარულია. მოულოდნელი ხარჯი 64,000 მან., 46,987 მან. 10 კ. კახეთის რკინის გზით გამოწვეული ხარჯები, და 14,037 მან. 10 კ. საელექტრონო სადგურის გასაფართოვებლად.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა** მისწერა მაზრის უფროსებს, რომ მათ თანამდებობის პირთა გაცილების დროს თავთავიანთ რაიონებში მხოლოდ საერობო დარაჯები გაჰყოლონ და ისეთი რიცხვი, რამდენსაც ნამდვილი საჭიროება მოითხოვდეს.

◆ **კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის დროებით აღმასრულებელმა** ტფილისში ცხოვრების ნება დართო იმ ებრაელებს, რომელნიც საზაფხულოდ ჩამოვიდნენ არტისტულ საზოგადოებაში სიმფონიურ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **მიწადმომქმედ და მიწადმომწყობ მთავარ სამმართველოს** ახლო მომავალში მინისტრთა საბჭოს განსახილველად სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო ბანკის დაარსების კანონ-პროექტი შეაქვს. ამ კანონ-პროექტის მიხედვით, ზემოდ-ხსენებულ ბანკს მიზნად აქვს დასახული სასოფლო მეურნეობას ხელი შეუწყოს კრედიტით ისეთის გაცემის შემწეობით, რომელიც საჭირო იქნება იმის და მიხედვით, რაც უფრო და უფრო განვითარდება მიწისა და შინა მრეწველობა.

◆ მიწად-მომქმედ. დეპარტამენტმა განკარგულება მოახდინა რაც შეიძლება მალე **გაიგზავნოს კახეთში** ფილოქსერასთან საბრძოლველი რაზმი. ტფილისის კომიტეტიც საჩქაროდ ამზადებს იარაღსა და ხელსაწყოს.

◆ **ტფილისის საქალაქო არჩევნების შესახებ** სენატმა განმარტა, რომ თუ ქალაქი რამდენიმე საარჩევნო უბნად გაიყოფა, მაშინ ყოველ უბანში ხმოსნების არჩევა დანარჩენ უბნებიდან სრულიად დამოუკიდებლად უნდა მოხდეს. ყოველ საარჩევნო უბნისათვის ქალაქის გამგეობამ ამომრჩეველთა ცალკე სია უნდა შეადგინოს. ხმოსნები მხოლოდ ამ სიიდან აირჩევიან და არჩევნების განსაჩივრებაც მხოლოდ ამ პირთ შეუძლიანთ.

◆ **ხუროთ-მოძღვარმა ნ. მადათოვმა და მინგრელსკის პოლკის პოლკოვნიკმა ე. კესლერმა** ქალაქის გამგეობას მიჰმართეს, ვერაზე ზოოლოგიური ბაღის გახსნა იჯარით მოგვეციო. წინასწარ მოსალაპარაკებლად გამგეობამ კრება 31 მაისისათვის დანიშნა.

◆ მიწად-მომქმედმა დეპარტამენტმა **ბოტანიკურ ბაღის** დირექტორს ე. როლლოვს მიმართა თხოვნით რათა მან წლევანდელ მოსავლიდან 22 ფუთი თუთის თესლი დაამზადოს რუსეთის სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათათვის.

◆ **კავკასიის სააბრეშუმო სადგურზე** ამ ჟამად ჰია უკვე ცახზე ადის და პარკს იკეთებს.

◆ **ტყისა და ბაღების მომშენებელმა კომისიამ** ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა სოლოლაკის არხის ნაწილი ამაღლების ქუჩაზე, თაღებით გადახურონ. თაღზე მიწას დააყრიან, გაავაკებენ და ბაღს გააშენებენ. კომისიამ გადასწყვიტა, 3000 მანეთი გადასდოს ვერაზე ახალი ბაღის გასაშენებლად.

◆ **ბელგიის უსახელო საზოგადოებამ** ქალაქის გამგეობას წარუდგინა პროექტი ტრამვაის ახალი ლიანდაგისა, რომელიც ელისაბედის ქუჩიდ მუშტაიდის შესახვევამდის გავა. გამგეობამ პროექტი განსახილველად ქალაქთან არსებულ სატეხნიკო კომისიას გადასცა.

◆ **ქალაქის საბჭომ** როგორც ვიცით კახეთის რკინის გზის ტფილისის სადგურისათვის აქციონერებს ნავთლუღში ადგილი მისცა. რადგანაც სადგურის ქალაქთან დაახლოვება მოისურვეს, ქალაქმა ეხლა 12 დესეტინა ადგილი ავლაბარში უნდა მისცეს. ამის გამო შესდგება შეერთებული კრება აქციონერებისა ქალაქის ტეხნიკებისა და გამგეობის წევრებისა.

◆ 25 მაისს, ბირჟის დარბაზში **საბირჟო კომიტეტის ხხდომა** მოხდა, სადაც საბოლოოდ შემუშავდა ტფილისის საქონლის სადგურზე საქონლის მიტანა-დაწყობის ნიხრი, რომელიც რკინის გზის მთავარ სამმართველოს გაეგზავნა. ამის დამოუკიდებლად საბირჟო კომიტეტმა გადასწყვიტა აღძრას საკითხი იმის შესახებ, რომ საქონლის პატრონთ შეეძლოთ მიტანა-დაწყობის მუშაობა თავისი ხარჯით. საქონლის სადგურის ადმინისტრაცია, გენერალ. ნეიგებაუერის ცირკულიარის მიხედვით, უშლის ამას; მაშინ როდესაც ცირკულიარი მხოლოდ რკინის გზის მუშაობას ეხება და არა საქონლის გადატან-დაწყობას.

◆ **ჯერ-ჯერობით კავკასიაში გადასახადი** 6,217,523 დესეტინა მიწას გააწერეს; სულ 4,368,102 მანეთი. თითო დესეტინაზე მოდის 70,2 კაპ. და მიწის ღალა კი გაუწერიათ—5,420,719 დეს. მიწაზე, სულ 2,174,298 მან. თითო დესეტინაზე 40,2 კაპ. მოდის.

◆ **ერთ უცხოელ მეხალიჩეს** ადგილობრივ მთავრობის წინაშე, შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ხალიჩების საქსოვად საზღვარ-გარეთიდან ნება მისცენ უბაჟოდ შემოიტანოს კავკასიაში 4000-მდე ფუთი შეღებული მატყლი. დაწვრილებითი ცნობებს შემდეგ მოვათავსებთ.

◆ **ერევნის მოედანზე, ენფიაჯიანცის თამბაქოს საწყობში** ჩხრეკის დროს აქციზის მოხელეთ 11 ათასი უბანდეროლო პაპიროსი და 3 ათასი უბანდეროლო გილზი აღმოუჩენიათ.

◆ წვრილი კრედიტის ინსპექტორის აღმასრულებელ ი. ი. ნავრაძილს ბორჩალოს მაზრაში, შულავერში და ბოლნის ხაჩინში **წვრილი კრედიტის ამხანაგობა** გაუხსნია. ამ კვირას ბ. ნავრატილი კახეთს გაემგზავრება.

◆ **პროფესორმა სივერსმა**, რომელიც ამ ჟამად ქალაქის ბუხჰალტერიის საქმეების მოწესრიგებაზე მუშაობს, გამგეობას მოსთხოვა ცნობები ტფილისის რკინის გზის სადგურისათვის და სამხედრო უწყებისათვის, 44 ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ყაზარმის ასაშენებლად ქალაქის მამულების მიცემის შესახებ. ცნობები საჭიროა ქალაქის უძრავ ქონებათა რაოდენობის გამოსარკვევად.

◆ გუშინ წინ, დილის 9 საათზე, წერა-კითხვის წიგნის მაღაზის გამგეს ბ. ავალიშვილს პუშკინის ქუჩაზე ქარვასლის კუნჭულში შეხვედრია ორი ბიჭი, რომელთაც „დედა-ენები“ მიჰქონებიათ. თითოს ორმოც-ცალამდე. ავალიშვილის შეკითხვაზე ბიჭებს უპასუხნიათ, წიგნები გრიქუროვის მაღაზიაში მიგვაქვსო. ავალიშვილი უკან დასდევნებია ბიჭებს, რომელთაც წიგნები ძველ წიგნების მოვაჭრე სუმბათ გორგაძიანცის დაკეტილ მაღაზიასთან მიუტანიათ. ავალიშვილი პოლიციელის საძებნად წასულა და როდესაც დაბრუნებულა, ბიჭები იქ აღარ დახვედრია. სუმბათ გორგაძიანცს კი ურჩევნია ანგარიშები და უთქვამს, ეს წიგნები მე ამკინძავის ნატრაძისაგანა მაქვს ნაყიდი თითო ექვს შაურადაო.

◆ დღეს, 28 მაისს, სამეფოების ძალზე, პოლიციამ ყოველგვარი წარმოდგენები და გასართობები აკრძალა.

◆ **მიწის ძვრა.** დეპეშათა საგენტო იტყობინება რომ 26 მაისს დილის 4 საათსა და 18 წუთზე ბაქოში მიწის ძვრა მოხდა. რომელმაც 10 წამს გასტანა. რამდენიმე სახლი დაზიანდა.

იგივე საგენტო **შემახიდან** იტყობინება, რომ დილის 2 საათსა და 40 წუთზე მიწა იძრაო. მიწა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ირყეოდა, ქვეშიდან გუგუნი ისმოდა.

◆ **სალიტერატურო და სამუსიკო დილა**, რომელიც დანიშნული იყო სახალხო სახლში კვირას, 29 მაისს, დღის 1 საათზე, გადაიდო იმავე დღის საღამოსათვის, რადგანაც კვირა დილით სახალხო სახლში ქალაქთა წარმომადგენლების სხდომაა დანიშნული.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ 26 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების **გამგეობის კრება** მოხდა. კავთისხევის მცხოვრებთა თხოვნის მიხედვით ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის შესახებ, გამგეობამ დაადგინა, ძთაკრობის წინაშე შესაფერი შუამდგომლობა აღიძრას; შემდეგ გამგეობამ გადასწყვიტა თხოვნის მიხედვით თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქნეს ყალამშის სკოლის მასწავლებელი. გარდა ამისა წიგნის მაღაზიის გამგის ბ. ავალიშვილის მოხსენების მიხედვით, გამგეობამ დაადგინა მიენდოს მას პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიიდან გამოიწეროს მაღაზიისათვის ზოგიერთი საჭირო წიგნები, რომელიც კერძო წიგნის მაღაზიებში არ იყიდება. შ. დედაბრიშვილის მოხსენების თანახმად, გადასწყდა მიენდოს შ. დედაბრიშვილსა და ს. კორგაძეს ქართული წერის რვეულების დაბეჭდვის შესახებ მოლაპარაკება გამართონ დიტიატკოვსკის ამხანაგობასთან და სხვა.

◆ **ქართულ საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას** კ. ჯაფიანმა მეტად ძვირფასი წიგნი შესწირა: წიგნი გამოცემულია პეტერბურგში 1862 წელში, რუსეთის არსებობის 1000 წლის გამო და სათაურად აქვს: „Description ethnographique des peuples la Russie, par T. de Pauly.“ წიგნში ძლიერ ბევრი საუცხოვო ფერადებით ნახატი გრავიურაა ჩართული.

## სასამართლო

◆ **ერმოლოვის საქმე.** სენატმა გაამართლა ოზურგეთის მაზრის უფროსი კაპიტანი ერმოლოვი, რომელსაც ბრალად ედებოდა 1905 წელს ვაჭრის დონაძის სახლის დაწვა.

## სასწავლებლებში.

◆ **ექსტერნებს**, რომელნიც ივნისის შემდეკ სამისწავლო ოლქთან დაიჭერენ ეგზამენებს, უცხო ენებში (ფრანგული და გერმანული) წერაშიდაც გამოსცდიან.

◆ რადგანაც ტფილისის გუბერნატორმა ვიაზმის ქალთა პირველ გიმნაზიის მოწაფეთა ექსკურსიას ნება დართო ჩამოვიდნენ ტფილისში ქალაქის დასათვალიერებლად, პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა პოლიციელებმა კანონიერი დახმარება გაუწიონ ექსკურსანტკებს.

◆ გუშინ დამთავრდა განათლების სკოლის მოწაფეთა ხელსაქმის გამოფენა. მნახველნი ნაციამოვნები დარჩნენ მოწაფეთა მიერ ხელსაქმის სუფთად და ლამაზად შესრულებით.

## სომეხთა ცხოვრება

◆ როგორც გადმოგვცეს, განსვენებულ **მანთაშევის შვილებს** საქველმოქმედო მიზნით დატოვებული 200,000 მანეთი ამ რიგად გაუნაწილებიათ: 50,000 მანეთი სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისათვის იმ მიზნით, რომ წინედ შეწირულ 20,000 მანეთს შეუერთდეს და მანთაშევის სახელობის ფონდი დაარსდეს, 25,000 მანეთი კავკ. სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას და ათას-ათასი მანეთი ტფილისის ყოველ სომხის ეკლესიას. ტფილისში 24 სომხის ეკლესიაა, დანარჩენი 101 ათასი მანეთი პროვინციის სხვა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებისათვის გაუნაწილებიათ.

◆ ერევანში მცხოვრებ ცნობილ მდიდარს **ტ. აფრიკიანს** საეპარქიო სკოლის შენობის ასაშენებლად 50,000 მან. შეუწირავს. მაგრამ რადგან სხვა შემოწირულება არ აღმოჩენილა, მას გადაუწყვეტია შენობა მთლად თავის ხარჯით ააგოს და ამ მიზნით კიდევ 50,000 მანეთი გადაუდვია.

## ქუთაისი

◆ 24 მაისს სამოსამართლო პალატის განსაკუთრებული საკრებულო შეუდგა ზოტიკ და თომა ჩიკვილაძეების საქმის გარჩევას. მათ ასამართლებენ სისხლის სამართლის 102 მუხლის ძალით. საქმე ირჩევა ხალხის დაუსწრებლად. ბრალდებულთ იცავენ, ნაფ. ვექილის თანაშემწე გრ. გიორგაძე, ი. გობეჩია და ს. ამირაჯიბი. სასამართლოში 50 მოწმეა დაბარებული.

## ბაქო

◆ 25 მაისამდის ხმოსნობაზე 30 მაჰმადიანმა განაცხადა უარი. ესენი 23 მაისს იყვნენ არჩეულნი. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ რუსი კანდიდატები გააშავესო. ამბობენ, იმავე მიზეზით ყველა მაჰმადიანი გარდა 2—3 კაცისა იტყვის უარს ხმოსნობაზეო. მაჰმადიანთა მაგალითს სომხებმაც მიჰბაძეს. საშაბათს საღამოს, დიდი კრება ჰქონია სომხების საარჩევნო კომიტეტს და დაუდგენია, ყველა სომეხს, რომელიც კი 22 მაისს იქმნა არჩეული, სთხოვოს, რომ მათ ხმოსნობაზე უარი განაცხადონ. იმ სამ რუსიდან, რომელიც არჩეული იქმნა, ორმა უკვე უარი განაცხადა. მესამე ბაქოში არ არის და არც არჩევნების შედეგი იცის.

## ახალციხე

◆ **ტფილისის გუბერნატორმა** სახალხო სკოლების ინსპექტორს ნება დართო მოაწყოს ახალციხეში პირველ ივნისიდან 15 ივნისამდე კურსები პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის. კურსებზე წაიკითხავენ ლექციებს: ბუნების მეტყველებაზე, მეთოდიკაზე, მათემატიკაზე და რუსულს ენაზე.

# ჟურნალისტის დღიური

## 19.

**მოწამლული ატმოსფერა.**

დროებით ქალაქიდან წასვლა მომიხდა, და ამიტომ ტფილისის გაზეთებს ყოველთვის ვერ ვათვალიერებდი. ჩამოსვლისათანავე ადგილობრივ გაზეთების ძველი ნომრები გადავათვალიერე და პირველადვე თვალში მეცა ღია წერილი ბ-ნ ი. კარგარეთელისა მიმართული ა. ნ. ყარაშვილისადმი. მართალი გითხრათ, ამ წერილმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, თითქოს ათასნაირი შხამიანი ქვეწარმავალი მომხვეოდეს კისერზე. ბ-ნი ი. კარგარეთელი ეკითხება ა. ნ. ყარაშვილს, თქვენია თუ არა ის ნაწარმოები, რომელსაც „სამშობლო“ ჰქვიანო. რა აზრი, რა მნიშვნელობა აქვს ამნაირ შეკითხვას, ვერ გავიგეთ. პირადად მე ვისთანაც კი მქონია ბაასი ქართულ მუსიკაზე, ყველას ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ „სამშობლო“ ყარაშვილის ნაწარმოებია. იგი დაბეჭდილიცაა, როგორც ნაწარმოები ყარაშვილისა. ამ რამდენისამე ხნის წინად ქართულ გიმნაზიაში სამუსიკო დილა გაიმართა, და ამ დილის პროგრამაში „სამშობლო“ აღნიშნული იყო, როგორც ნაწარმოები ყარაშვილისა.

ცხადი იყო ეს ყველასათვის. თქმა არ უნდა, ცხადია იგი თვით ბ-ნ ი. კარგარეთელისათვისაც, მაგრამ მაინც სწერს ორ-აზროვან შეკითხვებს. ყარაშვილმა უპასუხა და სთქვა ის, რაც ყველამ იცოდა, სთქვა მოურიდებლად და გულ-ახდილად. ბ-ნი ი. კარგარეთელს ალბად არ მოეწონა ასეთი პასუხი, ალბად დარწმუნებული იყო, რომ ბ-ნი ყარაშვილი ისარგებლებდა ამ შემთხვევით და ინტრიგანობის ისეთსავე ქსელს გააბამდა, რანაირშიაც თვით ბ-ნი ი. კარგარეთელი ფართხალებს. მაგრამ მოსტყუვდა. ბ-ნმა ყარაშვილმა ჯენტლმენური პასუხი გასცა და ამით გააწბილა, ყოველგვარი ფასი და აზრი დაუკარგა ბ-ნ ი. კარგარეთლის შეკითხვას. ბ-ნმა კარგარეთელმა შეკითხვაზე პასუხი მიიღო, და მას რომ მხოლოდ ცნობის-მოყვარეობა ამოძრავებდეს, დაჩუმდებოდა. მაგრამ დაფარული, ჩვეულებრივ მკითხველისათვის გამოუცნობი მოსაზრებანი მაინც ალაპარაკებს მას, და იგიც შეურაცყოფს ბ-ნ ყარაშვილს, გეშინიან სიმართლის თქმაო. არ ვიცით, ვის დასჭირდა ბ-ნ კარგარეთლის ასეთი დათვური სამსახური?

რა მიზანი ჰქონდა ბ-ნ კარგარეთელს, როდესაც ასეთს მოწამლულ ატმოსფერასა ჰქმნიდა, არ ვიცით; ის კი ცხადია, რომ საბოლოოდ ბ-ნი ყარაშვილი დარჩა შეურაცყოფილი. ბარაქალა ბ-ნ ყარაშვილს, რომ მან ჯენტლმენობა გამოიჩინა, გვერდი აუხვია ბ-ნ კარგარეთლის მიერ დაგებულ ინტრიგანობის ქსელს და ეხლაც დუმილით უპასუხებს უკანასკნელ უტაქტო წერილზე.

**შინაური.**

# კრება

**კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა ხოლერისა და შავის ჭირის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად.**

27 მაისი

კრება დაიწყო საღამოს 8 საათზე კავკასიის ქალაქის მოურავის მ. მ. ტრიოლის თავმჯდომარეობით.

კრება გაიხსნა ტფ. ქალაქის გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალოს გამგის გ. გ. გუგუშიანცის მოხსენებით „ხოლერა ტფილისში 1910 წელს ქალაქის საავადმყოფოს ცნობებით“.

მოხსენების ტეზისები შემდეგი იყო: 1) ხოლერასთან საბრძოლველად საჭიროა წინდევე დამზადება ფართო და რიგიან საავადმყოფოებისა, მომზადებული მკურნალნი და სამყოფი სადეზინფექციო მასალა, 2) დიდი მნიშვნელობა აქვს კლინიკურად გამოკვლეულ მასალას და 3) საჭიროა ხალხმა აიცრას ხოლერის წინააღმდეგ.

ექიმმა ნ. ა. სახაროვმა თავის მოხსენებაში ვრცლად ჩამოთვალა ცნობები ამიერ კავკასიის რკინის გზაზე 1910 წელს ხოლერით ავად გამხდართა შესახებ, ხოლო ექიმმა ი. ი. ჩარექოვმა წაიკითხა მოხსენება ხოლერის შესახებ ქუთაისში.

ექიმმა ნ. პ. ვასილევსკიმ თავის მოხსენებაში ვრცლად შეეხო ხოლერას ბაქოში და მისს საწინააღმდეგო ზომებს. მოხსენებაში მოყვანილი იყო ბევრი სტატისტიკური და ისტორიული მასალა, სხვათა შორის, განაცხადა, უკანასკნელ ხანს ბაქოში ხოლერა წყალის მიზეზით არ იყო გამოწვეული, რადგან გამოკვლევამ წყალში ვერავითარი ვიბრიონები ვერ აღმოაჩინაო.

დასასრულ მოხსენებანი წაიკითხეს რკინის გზის ექიმმა სარაპმა, ნოვოროსიისკის ქალაქის სანიტარულმა ექიმმა ი. ლ. კამანსკიმ და გორის ქალაქის მოურავმა ს. ფ. პაპალექსიმ. უკანასკნელის სიტყვით, გორი სანიტარულის მხრით მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია: არა აქვს არც სამკურნალო დახმარება და არც საშუალება.

ამის შემდეგ კამათი დაიწყო.

ექიმი დამასკინი აღნიშნავს, რომ ხოლერის გავრცელებას დიდად ხელს უწყობს ფული, რომელიც ერთის ხელიდან მეორეში გადადის. მისის აზრით, საჭიროა დეზინფექცია გაუკეთონ ხოლმე როგორც ვერცხლისა და ოქროს ფულს, აგრეთვე ქაღალდისას. წინადადება უნდა მიეცეს აგრეთვე მცხოვრებთ, რომ ხელები ჩქარ-ჩქარა დაიბანონ ხოლმე.

ექიმი დუნკევიჩი არ უარჰყოფს ბ-ნ დამასკინის აზრს და თავის მხრივ უმატებს რომ ყაზანსა, ცარიცინსა, ტფილისსა და სხვაგან გაჩე-

ნილმა ხოლერამ ნათლად დაამტკიცა, რომ ხოლერის გაძლიერებაში დიდი მნიშვნელობა აქვს წყალსო. ამიტომ, მისის აზრით, წყალს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ექიმი სტეფანოვი კრებას ურჩევს მეცნიერულ ხასიათის კითხვებს გვერდი აუქციოს და პრაქტიკულ ზომების შემუშავებას შეუდგეს.

ექიმი მუხაძე (ჭიათურა) სთხოვს კრებას მხარი დაუჭიროს შუამდგომლობას ჭიათურის შავის ქვის მრეწველთა საბჭოსას, რომელიც მთავრობას სთხოვს, იძულებით ჩამოერთვათ კერძო პირთ წყაროები, რათა ჭიათურაში, რომელიც რიგიან სასმელ წყალს მოკლებულია, შესაძლებელი გახდეს წყალსადენის გაკეთება.

კრება ღამის 12 ნახევარ საათზე დასრულდა.

27 მაისი

კრება დაიწყო დილის 10 ნახევარ საათზე ქუთაისის ქალაქის მოურავის ი. მ. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით.

დილიდან დაწყებული ნასადილევის 1 საათამდე კრება სხვა და სხვა მოხსენების მოსმენას მოუნდა. წაკითხულ იქმნა სულ 9 მოხსენება. წაიკითხეს: განჯის ქალაქის სასანიტარო ექიმმა ხასანბეგ ალიევმა, ბაქოს სანიტარულ-მედიკურ ბიუროს გამგემ ნ. პ. ვასილევსკიმ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა, ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ა. ს. ბაზოვმა, კავკავის საქალაქო ექიმმა ნ. ა. პოლიაკოვმა, ფოთის სასანიტარო ექიმმა ი. მ. ბუხბინდერმა, ტფ. ქალაქის წყალსადენის გამგემ გ. ზ. ქურდიანმა, ტფ. ქალაქის არქიტექტორმა მ. პ. ოღაჯანოვმა და ტფ. ქალაქის საყასბოს გამგემ ბეითალმა ვ. ი. ლანგმა.

მოხსენებიდან ნათლად გამოირკვა, რომ კავკასიის ქალაქები სანიტარულად მეტად ცუდს მდგომარეობაში არიან, როგორც საერთოდ მთელ რუსეთის ქალაქები და ამას გარდა არც ფული აქვთ უკეთეს პირობების შესაქმნელად კრების თავმჯდომარემ დამწრეთ კამათის ნება მისცა.

პირველად ილაპარაკა ა. ი. ხატისოვმა ა. ს. ბაზოვის მოხსენების გამო, რომელიც შეეხებოდა ბინის საკითხს. ორატორმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფობათა თავიდან აცდენაში რიგიან ბინებს და თავის მხრივ ამ კითხვის რამდენადმე სასურველ გადასაწყვეტად კრებას ურჩია, ქალაქებმა ღარიბ ხალხს ხელ-მისაწდომ ფასებში იჯარით მისცენ ქალაქის თავისუფალი ადგილები და თან გეგმა და იმის ინსტრუქციებიც დაურიგონ, თუ როგორის წესით უნდა ააშენონ სახლები.

ექიმი სტეფანოვი ქალაქებში ბინების მეთვალყურე ინსპექციების დაარსებას თხოულობს.

მ. მ. თურიანი ეთანხმება ა. ი. ხატისოვს და დასძენს, ეგ პრინციპი კავკასიაში რამდენადმე კიდეც განვახორციელეთო.

კრების გაგრძელება საღამოს 8 საათისათვის გადაიდო.

## სოხუმელთა გასაჭირი

ქართველისთანა უთავბოლო მომუშავე ცისქვეშეთს მეორე აღარ გაჩენილა. ქართველმა რომ თავისი საქმე წინდაწინ მოიფიქროს, აწონ დაწონოს და შესაფერი და შემუშავებული გეგმით გამოვიდეს სამოქმედო ასპარეზზე და მით ბურთი ლელოს გაიტანოს, ამისი ნიჭი მისთვის ბუნებას არ მიუცია! ის ალალბედზე მოქმედობს, უგეგმოდ, წინდაუხედავად, და აკი ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში დამარცხებული რჩება. დღევანდელს დროში, როცა ბნელი ძალები ცხოვრების ბრძოლაში სრულს გამარჯვებას დღესასწაულობენ, მეტი გამჭრიახობა და მეტი სიფრთხილე სჭირია ადამიანს, რომ რიგიანი და საზოგადო საქმისადმი გულწრფელ მისწრაფებებით აღჭურვილი კაცი გამოიყვანოს საზოგადო ასპარეზზე.

ჩვენდა სამწუხაროდ ეს აუცილებელი წინდახედულობა აკლია ჩვენში მომუშავე ძალებს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მხნე, მუყაითი და საერთო საქმეებით გატაცებული ნაწილი ყოვლად შემძლე „ცენზის“ წყალობით ჩამოშორებულია საზოგადო და სამოქმედო ასპარეზს, მაინც გამოინახება „ცენზიანთა“ შორისაც ყოვლად რიგიანი, პატიოსანი და ენერგიული ადამიანი.

ამისთანა კაცის გამონახვასაც ნიჭი და უნარი უნდა, რითაც მაინც და მაინც უხვად დაჯილდოვებული არა ვართ: უაზრო და უგეგმო მუშაობის წყალობით ასეთი სასარგებლო ელემენტებიც საზოგადო ასპარეზის გარეშე რჩებიან.

სწორედ ასეთს არა სახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდნენ ჩვენი ხმოსნებიც. 31 მაისს აქ უნდა მოხდეს ქალაქის თავის არჩევნები, და შესაფერი კანდიდატი კი არა ჰყავთ. როგორც მკითხველს მოეხსენება, ქალაქ სოხუმის მცხოვრებთა, როგორც ცენზიანთა, ისე უცენზოთაც, უმეტესობას ქართველობა შეადგენს, რომელთა სასახელოდაც უნდა აღინიშნოს, რომ რაც აქ თვითმმართველობა შემოვიდა—სულ იმის ცდაში იყო თუ როგორ სამართლიანად განაწილდეს ხმოსანთა რიცხვი მცხოვრებთა ეროვნების მიხედვით, და რაც შეიძლება მეტი სინათლე და სიმართლე შეჰქონდა ამ საკითხის გარდაწყვეტის დროსა და სამაგიეროდ, დახე ბედსა, რას უძღვნიდნენ: არც ერთი ქალაქის თვითმმართველობის ხელმძღვანელად ხმოსანთა მიერ არჩეული პირი არ იქმნა დამტკიცებული სათანადო მთავრობის მიერ! აქ მხედველობაში მისაღები არაა თავ. ნ. თავდგირიძე და აი რატომ: მაშინ, როდესაც ნ. თავდგირიძე დაამტკიცეს, სულ სხვა დრო იყო: საჭირო იყო სხვისი ხელით ნარის მოგლეჯა და აი ამ მოსაზრებით გადმოყვანილად ვხედავთ აქ, სოხუმში, ეპ. კირიონსა, თავ. ლ. ჯანდიერსა და თ. ნ. თავდგირიძესა. ამ პირთ თავიანთ მისია შეასრულეს, თუ არა, დამნაშავეთა სკამზე მოექცნენ, რა თქმა უნდა სრულიად უდანაშაულოდ!

დღეს ქალაქი სოხუმი თავის ძებნაშია, ხოლო მცხოვრებთა უმეტესობის სიმპატია თ. თავდგირიძისაკენაა (მესამე ხმოსნად გავიდა), მაგრამ ქალაქის თავად ვინა სთქვა ხმოსნადაც აღარ დაამტკიცეს! ასეთი არა სასურველ პირობების წყალობით ხმოსნები დიდს გასაჭირში არიან. წინ და წინ მოფიქრებით მოქმედების ნიჭი ჩვენ ხომ არა გვაქვს და არა, თორემ რა თქმა უნდა სასურველი და შესაფერი კანდიდატები მოინახებოდა.

ამიტომ იძულებული შეიქმნენ, როგორც გაკოტრებული ურია, ძველი თამასუქებისათვის მიემართნათ. სწორედ 27 წლის წინედ აქ ყოფილა ვინმე ბერნაცკი ბოქაულად რომელიც დღეს, ვგონებ, ქალაქ ვოლოგდაში სატყეო უწყებაში მსახურებს. ამბობენ, სოხუმში რომ იყო, მარჯვე კაცი იყოვო, გარნა არც ერთმა ხმოსანთაგანმა არ უწყის, თუ რა მსვლელობა მიიღო ბატონ ბერნაცკის აზრებმა ამ ხნის განმავლობაში, თუ რასა და ვის ემხრებოდა, რას აკეთებდა, რა გააკეთა ან რისი გაკეთება შეუძლიან. მისი შრომის უნარის თავდებად ხმოსნებს ის მოჰყავთ, რომ ბ. ბერნაცკი ჯერ სამოცდაათი წლისა არ არისო, ცოტა უკლიაო!!

მეორე კანდიდატია გენერალი რულიცკი. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ სოხუმში მეტის მეტად მოტრფიალენი გამოდგნენ გენერლებისა: თავიანთ თვითმმართველობა გენერალ ხმოსნებით აავსეს! ბატონი რულიცკის შესახებ სოხუმელთ მხოლოდ ის იციან, რომ იგი სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარედ ნამყოფია. შესაძლებელია ბ. რულიცკი ამ თანამდებობაზე ჩინებულიც ყოფილიყო, გარნა ეს გარემოება არავითარ თავდებობას არ იძლევა, რომ ქალაქის თავადაც კარგი გამოდგეს. ამ გენერლის ტირაჟი ძლიერ დაეცა მას შემდეგ როცა პირველ გამოსვლისთანავე ტუზემცები (მეტადრე ბერძნები და სომხები) უდიერად მოიხსენია და მათ წინააღმდეგ გაილაშქრა „ყარაყუშს რა მოჰკლავს და თავისი ენაო“, სწორედ ასე დაემართა ბ. რულიცკისაც.

თავად ნამყოფი გრაფ სოლლოგუბი უკვე გამოვიდა სასსახურიდან და ამ რიგად ქალაქი უთავოდ რჩება.

თუ კი ჩვენს მამებს უცნობი ბ. ბერნაცკისა და გენერალ რულიცკის უკეთესი საქალაქის თავო კანდიდატი არა ჰყავდათ, რატომ გრაფი სოლლოგუბი იძულებული ჰყვეს ხელი აეღო სამსახურზე? ეს დიდ შეცდომად მიგვაჩნია, და ახლო მომავალი არ დააყოვნებს ამ შეცდომის გამონაკლუენებას, მაგრამ, სამწუხაროდ, გვიან-და იქნება თითზე კბენანი! ჰქვიანი ჩიტი ორივე ფეხით გაება მახეშიო, ამასა ჰქვიან და ჩვენი ხმოსნებიც ორივე ფეხით გაბმულნი არიან მახეში.

ქალაქს ბევრი საშური საქმეები აქვს გასაკეთებელი, მაგალითად, საარხი საქმე, წყალ-საყვანი, ნავთსადგური და სხვა. ყველა ამას დიდ-ძალი ფული სჭირია და სესხის აღებაა საჭირო. ამოდენა სესხს ვის ჩაუგდებენ ხელში, მხოლოდ ზენამ უწყის.

ბატონებო, უსაგზლოდ და მოუმზადებლად, ხელ-პირი დაუბანებლად გზას შეგიძლიან მაშინ შეუდგეთ, როცა თავის საკუთარ საქმეზე მისდიხართ, ხოლო თუ საზოგადო ასპარეზზე გამოდიხართ, უსათუოდ მეტი მომზადება, მეტი სიყვარული საზოგადო საქმისადმი უნდა გქონდეს, თორემ თქვენ სამწუხაროდ იმისთანა „სურპრიზი“ შეიძლება უძღვნათ ქალაქს, რომ იმით რამდენიმე ათეული წლებით შეაფერხოთ მისი ბუნებრივი ზრდა-ვითარება. ეხლა დიგრჩენიაა უცნობ ბერნაცკის მისცეთ თქვენი კენჭები, რათა უარესის წინაშე მუხლები არ მოიყაროთ.

**სოხუმელი ჩიორა.**

## ბიბლიოგრაფია

**„შვების თავადი“**

დრამატიული პოემა ხუთ მოქმედებად **ა. შანშიაშვილისა.** ფასი 60 კ., გამოცემა მიხეილ ნემსაძისა.

ახალი პოემა ა. შანშიაშვილისა შეიძლება მის პირველ დიდ ნაწარმოებად ჩაითვალოს. პოემებს შანშიაშვილს წინადაც დაუწერია, მაგრამ მათი შინაარსი არა ყოფილა ისეთი რთული, როგორიც უკანასკნელ პოემისა. ამ რამდენისამე ხნის წინად ბ-მა შოთა დადიანმა ჩვენს გაზეთში გამოაცხადა, რომ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ზღაპარს, რომელსაც „პირიმზე“ ჰქვიან და რომლითაც ფოცხვერაშვილმა ისარგებლა თავის მუსიკისთვის, შანშიაშვილი დიდს პოემად ამუშავებსო. გავიდა რამდენიმე ხანი, და ბ-ნმა ა. შანშიაშვილმაც, გამოაქვეყნა თავისი პოემა. წინაარსი პოემისა ზღაპრულია, ნათლად ემჩნევა ნიშანი ხალხურ პოეზიისა, მაგრამ პოეტს ეს მეტად საინტერესო და შინარსიანი ხალხური ზღაპარი თავისებურად დაუმუშავებია და თავისი შემოქმედება ჩაუქსოვია.

პოემა მსუბუქი ენითაა დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ აღდგენილია აზრთა გამოსახვის ძველი ფორმები. პოეტში ნათლად გამოსჭვივის სიყვარული ძველ ქართული მწერლობისადმი, რომლის გავლენასაც ცხადად განიცდის.

პოემა მშვენივრადაა გამოცემული, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შნოიანად და ფასიც, შედარებით, დიდი არ არის აღნიშნული. ვეცდებით, ახლო მომავალში ჩვენს გაზეთში მოვათავსოთ ვრცელი გარჩევა ა. შანშიაშვილის ახალ პოემისა.

**არ. ჯ—შვილი.**

## ქუთაისის ბანკის რწმუნებულთა კრება

**25 მაისს. დილით.**

რწმუნებულთა კრება დილის 10 საათზე იყო დანიშნული და შემთხვევით ცოტა ადრე მომიხდა მისვლა ბანკში. აღელვებული ლაპარაკობდა გამგეობის თავმჯდომარე, მაგრამ ვიდრე კორესპონდენტების და პრესის სახელი არ მოიხსენია, ყურადღება არ მიმიქცევია. თ-დი ფალავა ფიცხი კაცია, სულ ადვილად ღელავს, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ იგი იქამდის მივიდოდა, სადამდისაც წინა დღით ერთი რწმუნებული, თუ არა ვცდები, ბ-ნი მესხი მივიდა. თურმე გაზ. „კოლხიდაში“, თავ. ფალავას აზრით, ყალბი ცნობაა მოთავსებული გამგეობის მოღვაწეობაზე და ეს გარემოება საკმაო გამხდარიყო თ-დი ფალავასთვის, რომ ბ-ნი მესხის აზრს მიმხრობოდა. ხოლო აზრი ბ-ნი მესხისა ისაა, რომ კორესპონდენციებისათვის დაწესდეს წინასწარი ცენზურა, როგორც ძველ, კურთხეულ დროს იყო ხოლმე. იმისათვის ითხოვდა იგი, კრების თავმჯდომარის განუხილველად არც ერთი წერილი არ დაიბეჭდოს გაზეთშიო.

ადვილი გასაგებია თ-დი ფალავას გულიწყრომა, თუ მართლა „კოლხიდამ“ უმართებულად ან უსამართლოდ მოიხსენია გამგეობის მოღვაწეობა, მაგრამ ნუ თუ ეს საკმაოა, რომ კაცმა ცენზურა მოიწველიოს!? არა მგონია.

ეს სტრიქონები დაწერილი მქონდა, როცა გავიგე, რომ თურმე ფინანსების მინისტრის წარმომადგენელი ბ-ნი სობრიევსკი თ-დ ფალავაზე შორს წასულა და უთხოვნია, რომ კორესპონდენტი, რომელმაც მისი აზრით, ყალბი ანგარიში მოათავსა გაზეთში, განდევნილი იყოს კრებიდან.

მახლას! ვიტყვით მარტო ჩვენ, ვის ხელში ვართ...

მტკიცდება წინა სხდომის ოქმი. სიტყვა ეძლევა თ-დ მ. ფალავას.

**თ-დი მ. ფალავა.** ზედამხედველი კ—ტი ამბობს, ჩვენ ო. სვანიძისათვის პეტერბურგში წასასვლელად 500 მანეთი მიგვიცია, როცა სამსახურში არ იყო. ზედ. კ—ტს რომ გაეგო საქმის ვითარება, ამას არ იტყოდა. ო. სვანიძე პეტერბურგში იყო დამზღვევი საზოგადოების საქმეების გამო. იქ მან გარდა საკუთარი მინდობილობისა, შეისწავლა საბუჰალტერო საქმე ტულის ბანკში და როცა დაბრუნდა და ჩვენ გაგვაცნო, თუ როგორ არის მოწყობილი ბუხჰალტერია ტულის ბანკში, საჭიროდ ვცანით ცვლილება შეგვეტანა ჩვენს ბუხჰალტერიაში. ძველი წესი შეუწყნარებელი იყო. აი ამისთვის მივეცით ჩვენ ბ-ნ სვანიძეს 500 მ. ბ-ნ სვანიძეს ცნობები რომ საჭირო იყო, იქიდანაც სჩანს, რომ ტფილისის ბანკმა ამავე საქმისათვის გადასდო 2000 მანეთი დირექტორის და ბუხჰალტერის გასაგზავნად და კიდევაც გაგზავნეს; მათ წასვლამდე კი ტფილისის ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ მთხოვა ბ-ნი სვანიძის გაგზავნა ტფილისში იმ ცნობების მისაწოდებლად, რომელიც ჩვენ მივიღეთ ბ-ნი სვანიძისაგან რისთვისაც ტფ. ბანკმა მისცა მას 200 მ.

**ი. ფანცხავა.** ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ თუ გამგეობას სურვილი ჰქონდა ბუხჰალტერიის რეორგანიზაცია მოეხდინა, ეს ზ. კ—ტის თანხმობით უნდა მომხდარიყო; გარდა ამისა, თუ გაგზავნა საჭირო იყო კაცისა პეტერბურგში, მაშინდელი ბუხჰალტერი ბ-ნი პურადაშვილი უნდა გაგზავნილიყო და არა გარეშე კაცი.

**ალ. კრინიცკი.** არ მესმის არც თ-დი ფალავას არც ბ-ნი ფანცხავას ლაპარაკი. ტფილისში კრების დაუკითხავად ფულის დახარჯვა არ ინდომეს, აქ-კი არავისა ჰკითხეს, შესაძლებელია თუ არ ფულის დახარჯვა. უკანონო ეს არის და ამისთვისაა სასაყვედურო გამგეობა და არა იმისთვის, რომ მან ბუხჰალტერიის განკარგება მოინდომა.

**თ-დი ივ. ნიჟარაძე.** დავეთანხმებოდი ბ-ნ კრინცკის, რომ მას სავალდებულოდ არ მიაჩნდეს ის, ვითომც გამგეობა ვალდებულია ამისთანა საქმეში ზ. კ—ტს დაეკითხოს ზ. კ—ტი საკონტროლო ორგანოადა არა ადმინისტრატიული.

**თ-დი მ. ფალავა.** კითხვა ისე კი არ უნდა დადგეს, როგორც ბ-ნი ფანცხავა და კრინიცკი აყენებენ, არამედ უნდა გავიგოთ—რამდენად ნაყოფიერად დაიხარჯა ფული და ზარალი თუ სიკეთე მოუტანა ბანკსა. ამ მხრივ განსხვავებული აზრისა არ შეიძლება იყოს კაცი.

**ალ. საყვარელიძე.** საქმე ეხება იმას თუ რამდენად კანონიერად დაიხარჯა ფული. ეს კანონიერება დაცული არ იყო და ჩვენც აღვნიშნეთ ეს გარემოება. არ მესმის ერთი რამ —გამგეობა ამბობს სვანიძეს მივეცით 500 მ., ხოლო თითონ სვანიძე გაზეთში ამბობს 1000 მ. მივიღეო. რანაირად მოხდა ეს ამბავი?! ტფილისს ჩვენ ნუ დავედარებით— იქ საქმეც უკეთეს მდგომარეობაშია და თვით ფულის გაღებაც პეტერბურგში წასასვლელად კანონიერად რწმუნებულთა კრების თანხმობით მოხდა.

**თ-დი მ. ფალავა.** ამბობენ, რომ ფორმალურად არ გვქონდა ნება ეს ხარჯი გაგვეწია, ხოლო სასარგებლო საქმე გაკეთდაო. მაშ რას გვიკიჟინებენ, არ მესმის. მის მაგივრად, რომ ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიმუშავოთ, როგორც ეს გუშინ განაცხადა ბ-მა ალ. საყვარელიძემ, ზედამხედველ კ—ტს გამოუძებნია პატარ-პატარა შენიშვნები და გაკეთების მაგივრად საქმეს აფერხებს.

**ო. სვანიძე.** მე გამგზავნა დამზღვევმა საზოგ. გამგეობამ და რაც ფული მომცეს იმათ საქმეზე დაიხარჯა, და თუ სხვა საქმეს მოვკიდებდი ხელს, სხვა საშუალება იყო საჭირო. ტფილისის ბანკის დირექტორმა და ბუხჰალტერმა საქმის გაცნობას ორი თვე მოანდომეს და მე კი ბ-ნი საყვარელიძე ერთ თვეს მიკიჟინებს და 2—3 დღეში უნდა გამეთავებინა. რაც შეეხება იმას, ვითომ მე 1000 მივიღე—ეს გაუგებრობაა. წასასვლელად მივიღე 500 მ., ხოლო თვით საქმეზე დაიხარჯა ჩემი წასვლიანად სულ 100 მ. და ეს ვერ გაუგიათ გაზეთის მკითხველებს.

**თ-დი ს. მიქელაძე.** თ-მა ფალავამ უსაყვედურა ზ. კ—ს წევრებს, ბუხჰალტერია არ იციანო და ეჭვიც-კი შეიტანა, რომ ბ-ნ ფანცხავას საბუხჰალტერო წიგნები არ გადაუთვალიერებიაო; ეს იქნება მართალია, მაგრამ არც ის არის ტყუილი, რომ გამგეობის წევრებიც არ არიან დიდი მცოდნენი ბუხჰალტერიისა, რაც მეტად სამწუხაროა, იგივე თ-დი ფალავა ამბობს, საქმე კარგი გავაკეთეთო და ფორმის დარღვევა დიდ დანაშაულს არ შეადგენსო. აი აქ არის ჩვენი სისუსტე. საინტერესოა გავიგოთ, წარმოადგინა თუ არა ბ-ნმა სვანიძემ მოხსენება, რომ იმით მაინც გავიგოთ რამდენად „ძვირფასია“ ბ-ნი სვანიძის მიერ წარმოდგენილი ცნობები.

**თავმჯდომარე ზდანოვიჩი.** მცირე სტატისტიკური ცნობები უნდა მოვახსენო კრებას. ამ საკითხის გამო სიტყვა ითხოვა 17 ორატორმა, მათ შორის 12 უკვე ილაპარაკა. თუ ნებას მომცემთ ახალ ორატორებს აღარ ჩავწერთ.

ხმები: კი, კი...

**თ-დი ოთ. დადეშკელიანი.** სიტყვას ვითხოვ. მე კრებას ჩემი ლაპარაკით არ ვაწუხებ.

**კნ. ნიჟარაძე.** გარეშე კაცი რომ შემოვიდეს, ვერ გაიგებს რა ხდება აქ. აქ სთქვეს, არც ზ. კ—ტმა და არც გამგეობამ არ იციან ბუხჰალტერიაო. საქმე იქამდის გამწვავდა, რომ ისეთი წყნარი კაცი, როგორიც თ-დი ს. მიქელაძეა, ისეთი ცხარე სიტყვას ხმარობს, მაგალ. იეზუიტი; გამოდის, რომ მეტად გამწვავებულა საქმე. გამგეობა უნდა შეჰკითხებოდა კომიტეტს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ კომიტეტის წევრები, რა. გაიგონებდნენ ო. სვანიძე იგზავნებაო, ფულზე უარს ეტყოდნენ.

სიტყვაზე უარს ამბობენ თ-დი ო. დადეშკელიანი და კირ. ლორთქიფანიძე.

**თავმჯდომარე ვ. ზდანოვიჩი.** ნება მიბოძეთ, გუშინდელი გადაწყვეტილების თანახმად, ასეთი ფორმულა შემოვიტანო: თუმცა ფორმალურად 500 მანეთის დახარჯვა სვანიძის დასაკმაყოფილებლად უკანონოა, მაგრამ არსებითად ამ ხარჯმა სარგებლობა მოუტანა ბანკს, ხოლო შემდეგ გამგეობამ კომიტეტთან შეუთანხმებლად არავითარი ხარჯი არ უნდა გასწიოს სმეტის გარეშე.

ფორმულა ერთხმად მიიღეს და კრება საღამომდე გადასდეს.

**საღამოს სხდომა.**

კვლავ გაუთავებელი კამათი-სწორედ არის ჩაწერილი ოქმში ზემოდ ხსენებული რეზოლუცია თუ არა და ბევრი ლაპარაკის შემდეგ გამოირკვა, რომ არსებითად იგი წესიერად არის ჩაწერილი, ხოლო რედაქცია მისი არ აკმაყოფილებს გამგეობას. ამ მხრით თავმჯდომარემ დააკმაყოფილა პროტესტანტების მოთხოვნილება.

**ფინ. მინისტრის წარმომადგენელი სობრიევსკი.** სამწუხაროდ დილას ვერ დავესწერი კრებას და ვერ გამიგია, სად არის ფორმალური დარღვევა; არსებითად 500 მ. დახარჯვას არავინა ჰგმობს, ხოლო თუ სმეტის გარეშე დაიხარჯა ფული, ეს დარღვევა კი არ არის ფორმისა, არამედ ის, რომ ამ საგნის შესახებ გამგეობას სახელმძღვანელო არა ჰქონდარა და ამას იქით ჩვენ, რასაკვირველია, ვიხელმძღვანელებთ იმ გადაწყვეტილებით, რომელიც უკვე მიიღო საზოგადო კრებამ.

კვლავ კამათი—იღებდა თუ არა ზედამხედველი კომიტეტის წევრი, როგორც ამას წესდება მოითხოვს, გამგეობის სხდომებში მონაწილეობას და ბოლოს ირკვევა, რომ 1910 წლ. განმავლობაში არ იღებდა.

**თავმჯდომარე ვ. ზდანოვიჩი.** მიღებული წესით, სიტყვა უნდა მიეცა გამგეობის თავმჯდომარისათვის, მაგრამ რადგან შემდეგი მუხლი ზედ. კ-ტისა ვერ გაუგია თ-დ ფალავას, მე ვთხოვ კომიტეტის ერთ-ერთ წევრს განმარტოს მეექვსე მუხლის პუნქტი **ვ.**

**ალ. საყვარელიძე.** ეგ შენიშვნა ეხება იმას, რომ იურისტ-კონსულტს შეეძლოს ადგილობრივ წაუსვლელად მიიღოს ეს თუ ის დოკუმენტი და ხარჯი არ გასწიოს.

## გომის სინდიკატის გარშემო

(პასუხად კოდელს).

ბ-ნი კოდელის წერილი ჩემს წერილს არსებითად არ ეხება, მას მხოლოდ სხვები გამოჰყავს დამნაშავეებად და თავისი დანაშაულობა სხვებს უნდა მოახვიოს. ერთობ მისი წერილი ლაზღანდარობის კილოზეა დაწერილი და მას ალაპარაკებს მხოლოდ პირადი სიძულვილი.

აი, დაუგდოთ ყური მის ნათქვამს:
1) იგი ბრძანებს:

„უპირველესი მიზეზი კი სინდიკატის დაქვეითებისა, ჩვენი თავად-აზნაურთა შეუგნებლობა, განუვითარებლობა იყო. ყველა წევრს თუ არა, ოთხ-მეხუთედს მათგანს სინდიკატი წარმოდგენილი ჰქონდა იმ ჯადოსნურ მადნად, რომელშიაც რამდენიმე თუმანი უნდა შეეტანა, ასობით და ათასობით ესარგებლა“.

ეს სისწორით არაა აღნიშნული. ამხანაგობის წევრნი თითქმის ასამდე იყო, მხოლოდ ერთ მეხუთედს მათგანს და, არა ოთხ-მეხუთედს,—რომელნიც კიდეც განაგებდნენ და იყვნენ ბატონ-პატრონნი გომის სინდიკატისა,—მათ მხოლოდ დანარჩენი წევრთა ინტერესები შესაფერად არ დაიცვეს.

მათ შორის, ესე იგი, ამ ერთ მეხუთედში ბ-ნი კოდელიც ერია.

2) იგი განაგრძობს:

„თ-დ კოსტა ამირეჯიბს, სანამ ამხანაგობის წევრი იყო, მუდამ ემართა ას თუმნამდე ნისია. ამ ფულში ამხანაგობა იხდიდა 14 კაპეიკს სარგებელს თვეში და თავადს კი უსარგებლოდ ჰქონდა წაღებული და მანამ არ დაუბრუნა ამ საზღვარგარედ, ევროპიულად განათლებულმა პირმა, ვიდრე სასამართლოს აღმასრულებელი ფურცელი არ ავიღეთ და ბოქაული კარს არ მივაყენეთ... მას თხუთმეტ თუმნამდე ამხანაგობისა დღესაც მართებს."

ბ-ნს კოდელს მხოლოდ მისდამი პირადი სიძულვილი ალაპარაკებს, არსებითად კი საგანს არ ეხება.

ვალი ვის არ ჰმართებს ეხლანდელ დროში, მთელი თავად-აზნაურობა დავალიანებულია, მაგრამ საძრახისად ეს არ მიმაჩნია. საძრახისი ისაა და დასაგმობიც, ვინც მოვახშეობას მისდევს, ვისაც ფული გაცემული აქვს, თავნს და სარგებელს არ სჯერდება, ერთი ორად და სამად ახდევინებს. მგონი ბატონმა კოდელმაც კარგად უნდა იცოდეს, რომ ერთ იმ მოვახშეთაგანის საქმე ეხლა ტფილისის პირველ განყოფილების სასამართლოში სწარმოებს.

უკაცრავად ვარ მკითხველთან, რომ საგანს გადაუხვიე. არა გაეწყობა, როცა ბატონი კოდელი არსებითად საგანს არ ეხება.

ბატონი კოდელის ზემო ნათქვამი, „თვეში ამხანაგობა 14 კაპეიკს სარგებელს იხდიდაო", სინამდვილეს არ შეეფერება. განა შესაძლებელია 168 პროც.? ან იქნება ბატონი კოდელისა ცმართა ამხანაგობას? შესაძლებელია, —მას ბევრჯელ უესხებია ამხანაგობისათვის.

3) ღამაშიძემ თუ 4,000 მანეთი „შეუჭამა" (კოდელი სიტყვებია) ამხანაგობას, რად მიიყვანეთ იქამდის? მხოლოდ თქვენისთანა მესვეურნი მოიქმედებდნენ მაგას, რომ ოცდა-ათ თუმანის ალებაში სამოცი თუმანი დაეხარჯათ. ზედამხედველ კომიტეტის წევრი ბრძანდებოდით, ბ-ნო კოდელო, და თქვენი უფლება კარგად უნდა გცოდნოდათ, ესე იგი, წესდების § 42 გაზეპირებული უნდა გქონოდათ, ყური გეგდოთ, რომ გამგეობას ჯეროვანად შეესრულებინა წესდება, ინსტრუქციები და საზოგადო კრების გარდაწყვეტილებანი.

ერთი მიბძანეთ ეგ რა სათქმელია, ამან „შეჭამა", იმან „შეჭამა"-ო. ამხანაგობა თქვენ და სხვებს გებარათ, უფლებაც მონიჭებული გქონდათ, შესაფერი ყურის გდებაც უნდა გქონოდათ და არც არავინ „შეჭამდა", არც არავინ „მოიტაცებდა".

4) საჭიროა სრულიად ამოიწეროს მისი ნათქვამი:

„საქმე იქამდე მივიდა, რომ არა წევრებსაც კი, როცა ამხანაგობა ამ პირთ ნისიად არ აძლევდა, ძალაობით და მოხერხებით მიჰქონდათ იგი. ერთმა თავადმა, ფალავანდიშვილმა. ივაჭრა ერთ დღეს 28 მანეთისა, ბიჭმა ეს სავაჭრო ხურჯინში ჩაალაგა და ცხენს გადაჰკიდა. თავადმა ჩეკი გამოართვა ნოქარს, რომ ფული კასაში უნდა წარედგინა, ამის მაგიერ გავიდა დუქნიდან, მოაჯდა თავის ბედაურს და ბიჭიანათ გაჰქუსლა შინისაკენ, გამოვცვივდით, ერთი კიყინა, ვაი-ვაგლახი, „დაიჭი", მაგრამ შენი მტერი გაჰქრეს ისე, როგორც ის გაჰქრა".

ესეც მთლად გადამახინჯებულია; ჯერ ერთი—ის ფალავანდიშვილი წევრი იყო ამ ამხანაგობისა და პაის ფული 110 მან. ჰქონდა გადახდილი და, თუ მოიტაცა საქონელი, რატომ მაშინვე § 43 არ იხელმძღვანელეთ და ამხანაგობიდან არ გამორიცხეთ? მეორე—ის ფული ნისიაში უანგარიშეთ და 110 მან. ზოგი პაის ფულში გაუბათილეთ და ზოგსაც აღმასრულებელი ფურცლით ახდევინეთ.

5) „მეორე თავადი მობრძანდა ეტლით, —განაგრძობს ბატონი კოდელი,—ზოგი ნავაჭრი მეეტლემ—ეტლის უკანა თვლებთან მიაკრა, ზოგი კოფოს ქვეშ. თავადმა ილაზღანდარავა პატარა ხანს, მოასწრო ხანს, როცა აღარავინ იცქეროდა, გავიდა გარედ, ეტლში ჩაბძანდა და გაჰქრა, რადგანაც კარგი „რისაკები" ჰყავდა... ვიღა მოეწეოდა?!"

თქვენ, ბ-ნო კოდელო, ამ თავადისებ ძალიან ლაზღანდარობა გცოდნიათ, არც აგრეთი გადამლაშება უნდა. ერთი მიბძანეთ, განა იმდენი საქონელი მიჰყიდეთ, რომ ეტლში ვეღარ მოათავსა, ეტლის უკან თვლებთან ჩააკრა და კოფოს ქვეშაც ამოსდო? ნუთუ პოლიცია, სასამართლოც გაჰქრნენ? ამას მხოლოდ თქვენი დაუდევრობა და ფუქსავატობა გალაპარაკებთ. თქვენ უფრო უკეთესი „რისაკები" გყავდათ იმდროს და თუ გული შეგტკიოდათ, ძალიან კარგად მოეწეოდით, მიხი ოჯახი ცხრა მთას იქით ხომ არ იყო?

თქვენ რომელ თავადზედაც ლაპარაკობთ, ის თავადი ყოველთვის თავდებად უდგებოდა ხოლმე ამხანაგობას და ვექსილებზედ ხელს უწერდა, რასაკვირველია, გომის საწყობიდანაც დანახარჯი ჰქონდა. რომ დანახარჯი გაენაღდებინა ამხანაგობას, სათავდებო ვექსილი სასამართლოში წარადგინეს,

ამხანაგობის გამგეობა ამაში სწორედ არ მოიქცა, მას დავთრებით უნდა ეჩივლა და არა სათავდებო ვექსილით.

აგრეთვე თქვენ კერძო ინტერესები გაქვთ იმ თავადთან და აქ მოსატანი არ არის.

6) „ერთმა თავადმა ასი ტილოს ტომარა წაიღო ამხანაგობისაო, ბრძანებს ბატონი კოდელი, მოწიწებით მოვსთხოვეთ, ტომრები მაინც არ დაგვიბრუნა, იშიშვლა ხმალი და კინაღამ ყველას თავები დაგვაყრევინა".

ესეც გადამეტებულია და ლაზღანდარობის კილოთია დაწერილი. ჯერ ერთი, თქვენ წინ ხმალს ვინ ამოიღებდა, მეორე ისა—თუ იცით თ.-აზნაურობის შეუგნებლობა, რად აძლევთ იმისთანა მაგალითს. თუ კი შიგ მოსამსახურე ზოგიერთი პირები ამხანაგობის საწყობს არ ზოგვენ, რასაკვირველია ამხანაგობის წევრნიც სამაგიეროს გიხდიან.

6) „გილო მახაბელმა იყიდა ძველი დანჯღრეული შარაბანი მეთვრამეტე საუკუნისა, შეაღებინა ახალ საღებავით, იყიდა რვა თუმნად ცხენი, იყიდა ძველი ინგლისური უნაგირი, 35 მანეთად, მზარეული დედაკაცი დაიქირავა თვეში ცხრა მანეთად, რომელსაც ჯამაგირს—თავის ფულიდან აძლევდა".

გილო მახაბლის მომხრე იყო ბ-ნი კოდელი და, რასაკვირველია, არ გაამტყუნებს. საკვირველი ისაა, რად ავიწყდებათ ხოლმე ამ ვაჟ-ბატონებს თავიახთი დადგენილებანი? მოვაგონებ ბატონ კოდელს, ზედამხედავ კომიტეტის და გამგეობის ოქმს, რომელზედაც მას ხელი უწერია—დადგენილი 1900 წ. 17 დეკემბერს, სადაც გილო მახაბელს წინადადებას აძლევენ, დაეთხოვენა სამი მჭედელი და მზარეული დედაკაცია. თუ კი გილო მახაბელს მზარეული დედაკაცი თავის ფულით ექირა, რა უფლება ჰქონდა ზედამხედავ კომიტეტს და გამგეობას ამისთანა შეუფერებელი წინადადება მიეცათ? ალბად ბატონ კოდელს ხსოვნა ღალატობს, თორემ ამას არ დასწერდა.

7) ბოლოს ბატონი კოდელი დასძენს:

„მაშ ამოდენა სავაჭრო სახლს არ უნდა ჰქონოდა ყველა ეს „საჭირო ავეჯები და ათჯერ მეტიც"? ალბად Legatus-ს ქართლის მეტი ქვეყანა არ უნახავს, თორემ არ დასწერდა ამ საზღაპრო ამბავს... უნდა ნახოს მან ევროპაში სინდიკატთა გამგეთა მოწყობილება, მდიდრული ცხოვრება, ავეჯი და გომის ამხანაგობის მოწყობილობა, ამას საცინლად კი არა, სატირლად გაუხდებოდა".

საკვირველი მსჯელობა ჰქონია ბატონ კოდელს; სწორედ მოგახსენო ჩემო მკითხველო, მე ვერა გავიგე-რა მისი, რას მისაყვედურებს და რას მწერს?

ძე თუ ქართლის იქით არ ვყოფილვარ, ბ-ნო კოდელო, თქვენ ხომ მთელი ევროპა შემოიარეთ, ალბად იქაური სინდიკატების წეს-წყობილებანი შეგისწავლიათ და მათ მინაგვარად გომის სინდიკატში საქმეები მოაწყეთ. მდიდრულად და დიდმაჯურად აწარმოებდით გომის საამხანაგო საწყობს და კასაში კი არ იხედებოდით, რჩებოდა რამე თუ არა?

ძე, ქართლს არ გაცილებული, ქართლის თქმულებას მოგაგონებთ: „საბანი როგორც გვსწვდეს, ისე დაიხურეო" და თქვენც ვაჟბატონებო, საქმე ისე უნდა გეწარმოებინათ, რომ ეგ ფული, რაც ხელში გქონდათ, იმ ვარაუდით მოგეხმარათ.

Legatus.

# მოწერილი ამბები

დ. ბაზშ. კვირას, 15 მაისს, ადგილობრივ სკოლის დარბაზში ბ-ნი ი. გაბიდაიამ წაიკითხა სახალხო ლექცია შემდეგ საგანზე: კოოპერატიული ამხანაგობები და მათი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში. ლექციის დამსწრეთ სიმრავლემ მოლოდინს გადააჭარბა. ლექტორმა ყველასთვის გასაგებ ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით გაარკვია მნიშვნელობა კოოპერაციისა როგორც ნაწილის ეკონომიური მეცნიერებისა, აღნიშნა ჩვენი ხალხის დღევანდელი კრიზისი მდიდარ ბუნებათა შორის და დაასკვნა, რომ ჩვენი ხალხი საშწუხარod გლახა ეკონომისტია და ეს არის ერთი დიდი მიზეზთაკანი მისი ეკონომიური დაქვეითებისა და ჩამორჩენისათ. სხვათა შორის ლექტორმა მკაფიოდ დაახასიათა თანამედროვე ვაჭრობის და კოოპერატიული ამხანაგობების მიზნები, აგრეთვე გაარკვია კოოპერატიული ამხანაგობების ფორმები და მათი განხორციელება. დასასრულ ლექციას დაერთო ბუნდოვანი სურათები დასავლეთ ევროპის და რუსეთის კოოპერატიული ამხანაგობების ცხოვრებიდან, რომლების დასაწყისი და ზრდა-განვითარება ლექტორის მიერ შესაფერისად ახსნილი იქმნა. ლექციამ კარგი შთაბეჭდილება იქონია და ხანგრძლივი ტაშის ცემა გამოიწვია დამსწრეთა შორის.

დამსწრე.

ბეყათუბანის საზოგადოება (შორაპანის მაზრა). გვალვების შემდეგ, რამაც ხალხი გააცდინა, მშვენიერი წვიმები მოვიდა. გამცდარი და იმედდაკარგული მცხოვრნი კვლავ თესვას დაუშურნენ და თითქმის გაათავეს კიდეც. წვიმა ვენახებსაც ძრიელ მოუხდა და კარგი პირიც უჩანს.

ძველი ჯიშის ვენახები აქაც ძრიელ წახდა, თითქმის მოისპო. მცხოვრებნი ამერიკული ჯიშის ვაზზე დამყნილი ვენახის გაშენებას შეუდგნენ, რომელიც აქ კარგად ხარობს. თუ განაგრძეს მისი გაშენება, მოსალოდნელია, რომ თუ გასაყიდი არა, საკმარისი ღვინო თავიანთ ოჯახისათვის მაინც მოუვა. ზოგი თვითონ აშენებს სანერგებს და რაც თვითონ არ სჭირდება აღგილობრივ მცხოვრებლებზე ჰყიდის.

ჩამორჩენილი.

# უცხოეთი

ელზას-ლოტარინგიის კონსტიტუცია.

ორმოცი წლის წვისა და დაგვის შემდეგ, გერმანიის პროვინცია, რომელიც გერმანიამ საფრანგეთს წაართვა, კონსტიტუციას ეღირსა. გუშინ და გუშინ წინ ელზას ლოტარინგელი მეორე ხარისხოვან მოქალაქედ ირიცხებოდა, ეხლა კი პირველი ხარისხოვანია. აქვს თავისი პარლამენტი რომლის წევრებსაც ლოტარინგიელები საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორი და საიდუმლო არჩევანით ირჩევენ, თავის ნამესტნიკი და საკავშირო საბჭოში თავის წარმომადგენელი ჰყავს. ახალი კონსტიტუცია, მიუხედავად ბევრ ნაკლულევანებისა, მაინც შეძლებას აძლევს მცხოვრებს თავის ქვეყნის პატრონი იყოს. ზომიერი ლიბერალები სრულიად კმაყოფილნი არიან. ისინი ამბობენ პრუსიისაგან მეტის იმედიც არ უნდა გვქონოდაო. პრუსია, ხომ გერმანიის კავშირის პოლიტიკის მესვეურია. ლოტარინგელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, რადგანაც მათ ეხლა კი შეძლება მიეცათ თავის მშობლიურ ფრანგულ ენის თავისუფლად ხმარებისა. აქამდის კი ამ ენას პრუსიელი მოხელეები ფრანგების სკოლებიდან სდევნიდნენ. მართალია, კონსტიტუცია ისეთნაირადაა გამოჭრილი, რომ უფლებათა უფრო დიდი ნაწილი პრუსიის მეფესა ხვდა წილად, მას შეუძლიან მაგალითად დაითხოვოს ნამესტნიკი, ზედა პალატაში იმდენი წევრი დანიშნოს, რამდენიც მოესურვება, მაგრამ ხალხის უფლებანი მაინც ვრცელია. ელზას ლოტარინგია გერმანიის კავშირის დამოუკიდებელ წევრად იქცა. ვინ იცის რამდენს ეწამა მისი კონსტიტუციის პროექტი, ვიდრე განხორციელებას ეღირსებოდა. ამიტომ გასაკვირველი არ არის ლიბერალ-დემოკრატების სიხარული. ისინი სახელმწიფო კანცლერს ფონ-ბეტმან ჰოლვეგს ქება დიდებით იხსენიებენ. კანცლერი მთელი ორი წლის განმავლობაში ქვეყნის მასხარა იყო; ეხლა კი სახელმწიფო დიდ მოღვაწედ იქცა, მართლაც და, ვის ეგონებოდა იმედი რომ რეაქციონერი კანცლერი ასე შეიცვლიდა მოქმედების ხასიათს. მას დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდა ვიდრე ამ კონსტიტუციას განახორციელებდა. რეაქციონერთა წინაამდეგ მოქმედებდა, სოციალ-დემოკრატები მაიხერთ და ეხლა რეაქციონერები ლანძღვით იკლებენ. მათ გულდაგა გააწყვეს რა და მხოლოდ თითებს იკვნეტავენ და იგინებიან.

# რუსეთი

კოოპერატიული კრება მოსკოვში.

შაბათს 21 მაისს მოსკოვში დაიწყო წვრილ კრედიტის კოოპერატიულ დაწესებულებათა და სახელმწიფო ბანკის მოსკოვის კანტორის წარმომადგენ. კრება. კრებაზე მონაწილეობს 102 წარმომადგენელი წვრილ კრედიტთა დაწესებულებებისა. თავმჯდომარეობს წვრილ კრედიტის უწყებათა თავმჯდომარე ევდოკიმოვი. სახელმწიფო ბანკის მოსკოვის კანტორის მმართველი სვეტლიცკი კრებამ მიესალმა და სთქვა, რომ კრების საპროგრამო საკითხებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთო. მან სთხოვა კრებას კარგად დაუკვირდეთ სახელმწიფო ბანკის მოსკოვის განყოფილებას, გამოარკვიეთ რა სარგებლობა მოუტანა მან წვრილ კრედიტის კოოპერატიულ დაწესებულებებს და რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან მას შემდეგში ამ დაწესებულებისათვის, რომელნიც ეკონომიურ ცხოვრებაში ასეთ დიდ როლს ასრულებენო. ევდოკიმოვმა კრებას წვრილ კრედიტის უმთავრეს სამმართველოს დირექტორის ბირკინის სახელით მიულოცა და წვრილ კრედიტის რუსეთში მდგომარეობა დაახასიათა.

გამოარკვიეს საკითხი სესხის მიცემის მოწყობისა. გადასწყვიტეს, რომ სესხის ამღების ქონებრივი და ზნეობრივი ხასიათი უნდა გამოირკვესო. ეს გამორკვევა კითვით ამხანაგობის ადმინისტრაციას უნდა დაეკისროს. აგრეთვე აუცილებლად სცნეს წინდაწინვე შეაფასონ ის მიზანი, თუ რისთვის არის აღებული სესხი, სასარგებლო იქნება იგი მეურნეობისათვის თუ არა. სესხი მხოლოდ სასარგებლო საქმისათვის უნდა იქმნეს მიცემული. დიდ ვადიანი სესხის გადება აუცილებლად იქმნა აღიარებული. სესხის განაწილება მომხმარებელ და საწარმოებელ ხარისხებად პრაქტიკულად განუხორციელებლად იქმნა ცნობილი.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მაისი.

საზღვარ-გარედ.

ბარ-სიურ-ობი. მღვდელთა ოლქში ეკლესიებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებზე ბევრ ადგილას წითელი ბაირადი ააფრიალეს. სოფლელები აღელვებულნი არიან.

მექსიკო. მიწის ძვრით დანგრეულ ყაზარმებში გაზი აფეთქდა. დაინგრა ქალაქის ცზის საელექტრონო სადგური. რამდენიმე კაცი მოკვდა.

ვენა. გაზ. „ფრემდენბლატტი"-ს მოწინავე წერილში ამბობს, რომ ოსმალეთი ორი წელიწადია ალბანელებს სასტიკი ზომებით ებრძვის. ამ ზომებმა ალბანელები კი არ დაიმორჩილეს, პირიქით მრისხანედ გახვრეს. ოსმალეთისადმი ალბანელების ერთგულებაზეა დამოკიდებული ევროპის ოსმალეთის არსებობა; მაგრამ ამ არსებობისა და ალბანელებისადმი ტრადიციონურ დამოკიდებულების შენარჩუნების სურვილი ავსტრო-ვენგრიას უფლებას აძლევს ნება მისცეს თავის დიპლომატიას, რომ მან თავისი აზრი გამოსთქვას ალბანეთის შესახებ.

კლერმონ ფერრანი. მინისტრთა საერთაშორისო კონგრესი დასრულდა. კონგრესმა სურვილი გამოსთქვა, რომ შეიარაღებაზე ხარჯი შემცირდესო.

ბრიუსელი. კაბინეტმა თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა.

ცეტინიე. ოსმალებმა სელცის ჩრდილოეთით რამდენიმე სახლი დასწვეს. 5 საათზე ოსმალებმა აჯანყებულთ ზარბაზანი დაუშინეს.

ბრიუსელი. დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა კორემანმა სამინისტროს შედგენაზე უარი განაცხადა. მეფემ ამავე წინადადებით ფინანსთა მინისტრ ლიბერტს მიჰმართა.

რ უ ს ე თ ი.

ნიკოლაევი. კისლიაკოვკაში, ხერსონის მაზრაში, ეკლესია გატეხეს და ორი მსახური მოჰკლეს.

ხარკოვი. სტეხნიკო სამეურნეო საზოგადოების განყოფილებამ გადასწყვიტა ავიატორთა სკოლა გახსნას.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა, მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგინა პროექტი სათავად-აზნაურო და სადვორიანო ბანკის $4^1/_2$ პროცენტიან ქაღალდების გამოსყიდვისა.

როვნო. როვნის მაზრაში, სოფელი კარპილოვკა მთლად გადაიწვა.

პეტერბურგი. სენატმა განიხილა საქმე გზათა სამინისტროს უფიცდ დირექტორის პალტოვისა და გადასწყვიტა, რომ იგი სამართლში 377 მუხლის ძალით მისცეს.

. ვაჭრობის მინისტრს მინისტრთა საბჭოში შეაქვს წინადადება, რომ ბალკანეთის ყურეში ყირიმის ომის დროს ჩაძირულ საქონლის ამოღება ინგლისელ გემებს გადასცეს.

# თეატრი და ხელოვნება

კვირას, 29 მაისს, ვ. გუნია და გ. არადელი-იმხნელი მართამენ იაფფასიან წარმოდგენას საზაფხულო თეატრში. წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის „ღალატი".

ქართველ მსახიობთა მოგზაურობა კ. მესხის მეთაურობით დაიწყება ამ თვის 29-იდან ხაშურში. დასს ორი პიესა აქვს არჩეული: „მილიონების ქალი და ქალი" სამ მოქმედებიანი ესპანიური პიესა, ვ. გუნიას ნათარგმნი და „რკინის კლანჭებში". დასში შედიან. მესხი, ნ. გვარაძე, ვ. მატარაძე, ვ. ურუშაძე, ი. გრიშაშვილი, ახოსპირელი, ქ-ნი მარო მდივანი, ნ. რიონელი, არ. ლოლუა და სხვა. დასი მოივლის დასავლეთ საქართველოს ყველა დაბა ქალაქებს და შავი ზღვის განაპირა ქალაქებს—რაჭამდე.


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღლინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—$1^1/_2$ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ხ. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. მ. მეევსკაია-ენგელი: 6—$6^1/_2$ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—46)

## „სამპსონინი"

თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).

(წლ.—1152—68)

◄ მშობიარეთათვის ►

## თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოგაბ ქ., ბაზების ინხიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—44)

მუხრანის ხიდთან

## სამკურნალო

გაიხსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს უოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახბახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოხანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—79)

## გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

პიროვებით:

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე პოლიტექნიკურ ინსტიტუტისა, მიიღებს პანსიონერებსაც.

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველს შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. противъ вокзала въ Нахаловкѣ. „შესავალი უმთავრეს კარებიდან".

(9—1084—7)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძეზველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ახალ-ახალი ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა). ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაიუსი ხიზილალა

გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა